საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს.

ინდივიდუალური მეწარმე რაფაელ ვეზიროვის (პ/ნ 15001004522), მცხოვრები საქართველო, დმანისი, სვეტიცხოველის ქ. N 4.

ელ.ფოსტა. soso.irakliabramishvili@gmail.com

ტელ: 577 55-90-79

ნდობით აღჭურვილი პირი ვლადიმერ ცხვიტარია. ელ. ფოსტა LADOTSKHVITARIA@GMAIL.COM
ტელ: 59578-58-38.

## სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ ინდივიდუალური მეწარმე რაფაელ ვეზიროვი (პ/ნ 15001004522), მცხოვრები საქართველო, დმანისი, სვეტიცხოველის ქ. N 4., გეგმავს ავტოგასამართი სადგურის (ბენზინ-დიზელ გასამართი) მშენებლობას (GPS კოორდინატში X=432256.00; Y=4575866.00).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად **ინდივიდუალური მეწარმე რაფაელ ვეზიროვის** მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

რაფაელ ვეზიროვი

ინდ. მეწარმე

წარმომადგენელი

ვლადიმერ ცხვიტარია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 2573
19.02.2019
18 ფ.
02

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს.

ინდივიდუალური მეწარმე რაფაელ ვეზიროვის (პ/ნ 15001004522), მცხოვრები საქართველო, დმანისი, სვეტიცხოველის ქ. N 4.

ელ.ფოსტა. soso.irakliabramishvili@gmail.com

ტელ: 577 55-90-79

ნდობით აღჭურვილი პირი ვლადიმერ ცხვიტარია. ელ. ფოსტა LADOTSKHVITARIA@GMAIL.COM
ტელ: 59578-58-38.

# სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ ინდივიდუალური მეწარმე რაფაელ ვეზიროვი (პ/ნ 15001004522), მცხოვრები საქართველო, დმანისი, სვეტიცხოველის ქ. N 4., გეგმავს ავტოგასამართი სადგურის (ბენზინ-დიზელ გასამართი) მშენებლობას (GPS კოორდინატში X=432256.00; Y=4575866.00).

ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებული იქნება 80 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად **ინდივიდუალური მეწარმე რაფაელ ვეზიროვის** მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქ. დმანისი 9 აპრილის ქუჩა N139, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N82.01.41.189 და წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 750 $m^2$ ფართის მქონე ნაკვეთს, რომლის ტერიტორიაზე უკვე აშენებულია ძირითადი შენობა-ნაგებობა (იხ, სურათი 1).

როგორც უკვე აღინიშნა, ბენზინგასამართი სადგურისათვის საჭირო შენობები არის აშენებული და საჭიროებს საბოლოო დამთავრებას. ავტოგასამართი სადგური საჭიროებს მხოლოდ არსებული სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქციას, ბეტონის კედლების მოწყობას და რეზერვუარებს შორის სივრცის ინერტული მასალით შევსებას ასევე მოსაწყობია მილგაყვანილობა, საწვავსარიგებელი სვეტების მონტაჟი. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება მიწისქვეშა სამი ცალი რეზერვუარი 20 $m^3$, 20 $m^3$ და 18 $m^3$ მოცულობების, აქიდან ორი ცალი ჯამურად 40 $m^3$ მოცულობით იქნება დიზელის საწვავისათვის და მესამე 18 $m^3$ მოცულობის ბენზინისათვის. დღეში სავარაუდო რეალიზაცია თხევადი საწვავისა იქნება 4 $m^3$-მდე.

სურათი 1. ბენზიგასამართი სადგურის არსებული ხედი

საწვავმარიგებელი სვეტები პროექტის მიხედვით დამონტაჟებული იქნება ავტოგასამართი სადგურის გადახურული ფარდულის ქვეშ  და დაკავშირებული თანამედროვე პლასტიკის მილებით საწვავის ავზთან.

საწვავის მიღება პროექტით დაგეგმილია ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე  განთავსებულ ჩამსხმელ დგარზე.

ყველა ეს რეზერვუარი განთავსებული იქნება მიწის ქვეშ. მათი „სასუნთქი სარქველები“-ს სიმაღლე H=3.0 მ და დიამეტრი D=0.05 მ. რეზერვუარი დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 1430 $მ^3$ ოდენობით, საიდანაც 700 $მ^3$ იქნება დიზელის საწვავი და 730 $მ^3$ ბენზინის საწვავი.

საწარმო საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით და გადაიტანს მას მიწისქვეშა რეზერვუარებში.

რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ სვეტებს, საიდანაც ხდება მისი ავტომანქანების ბაკებში (ავზებში) გადასხმა.

ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის განთავსება, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს თავისი მოქმედების არეალით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი. პროექტის მიხედვით დამიწებული უნდა იყოს ფარდული, სარეზერვუარო პარკი და საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა.

ტერიტორიაზე არის გათვალისწინებული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა სისტემის მოწყობა. ასევე ხანძარქრობისათვის საწარმოს ტერიტორიაზე დაიდგმება 10 $მ^3$ მოცულობის წყლის რეზერვუარი.

წყლის მომარაგება განხორციელდება ქ. დმანისის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი ასევე მიერთებული იქნება ქ. დმანისის საკანალიზაციო სისტემაზე, რომელიც გადის ავტოგასამართი სადგირის განთავსების წინ, საავტომობილი გზის პირას.

ბენზინგასამართი სადგური აღიჭურვება ცეცხლმაქრებით, ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად, განთავსდება სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და ავტომობილების გამართვისას.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და სახანძრო მიზნებისათვის. წყლის აღება განხორციელდება ქ. დმანისის წყალმომარაგების სისტემიდან და მათი ჩაშვება ს განხორციელდება ქ. დმანისის საკანალიზაციო სისტემაში.

რადგან ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის ქონა.

დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება (იხ. სურათი 1.) მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მითუმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

ტერიტორია ამ ეტაპზე მოშანდაკებულია და შემდგომ მოხდება მისი მობეტონება შესაბამისი არხებით ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში მათი ღია გარემოში მოხვედრის ასაცილებლად.

როგორც უკვე აღინიშნა, ავტოგასამართი სადგურისათვის საჭირო ძირითადი ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად აშენებულია, გარდა მიწისქვეშა რეზერვუარებისა და გასამართი სვეტებისა. საპროექტო ტერიტორიაზე ვინაიდან მოშანდაგებულია ხრეშით, არ

არსებობს ნაყოფიერი ფენა, მაგრამ დასამთავრებელი მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენის არსებობის და მასთან რაიმესახის შეხების შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყოვებული იქნება საწარმოო ტერიტორიაზე.

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის დასრულებისათვის მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით საამშენელო მასალების წარმოქმნა ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში 2.5 $მ^3$-ის ოდენობით), ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტების მოედანის გარე პერიმეტრი მოწყობილია არხებით, რომელიც შეერთებული მიწისქვშა ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარში დალექვის შემდეგ. ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა. ასევე სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

პატივისცემით,

რაფაელ ვეზიროვი

ინდ. მეწარმე

წარმომადგენელი

ვლადიმერ ცხვიტარია

დანართი 1. ავტოგასამართი სადგურის გენ-გეგმა


ბენზინგასამართი სადგური
ბენზინგასამართი
ქარი
9-საპროექტო ქუჩა
PP-2
X=4332242.26
Y=4371535.39
Z=125.153
1.435
1.002
1.189
1248
1250
18მ.
20მ.
20მ.
ბენზინგასამართი
ბენზინგასამართი
ბენზინგასამართი

დანართი 2. ავტოგასამართი სადგურის არსებული შენობების  განლაგების სურათი.

**სანოტარო აქტი**
**საქართველო**

ორი ათას ცხრამეტი წლის <u>რვა თებერვალს</u> მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძის შემცვლელ პირს გვანცა მიქიაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი.პეტრიწის ქ. №16, მომმართა <u>რაფაელ ვეზიროვმა.</u> მან განაცხადა, რომ სურს სანოტარო აქტის – მინდობილობის შედგენა, რომლითაც შესაბამის უფლებას მიანიჭებს <u>ვლადიმერ ცხვიტარიას</u> და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად <u>რაფაელ ვეზიროვმა (დაბ. 16.05.1977 წელს, დმანისი, პირადი #15001004522, რეგისტრ. მისამართზე: დმანისი სვეტიცხოველის ქ. N 4)</u> მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, <u>რაფაელ ვეზიროვი,</u> შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი" წინამდებარე მინდობილობით <u>ვლადიმერ ცხვიტარიას (დაბ. 28.04.1984 წელს, თბილისი, პირადი #01025014054)</u> შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილი პირს" ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს "მიმნდობი პირის" წარმომადგენელი მის კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. დმანისი, ქუჩა 9 აპრილის #139 (ს/კ #82.01.41.189)** ადმინისტრაციულ ორგანოებში, კერძო კომპანიებში, ასევე იყოს წარმომადგენელი ქალაქის მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, საგზაო დეპარტამენტში, აგრეთვე უფლებამოსილია წარმოადგინოს ჩემი ინტერესები არქიტექტურულ სამსახურში, ასევე იყოს წარმომადგენელი საკრებულოში, ყველა საჯარო ინსტანციაში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, **სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში,** არქივებში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, **სანოტარო ბიუროში,** საამზომველო ფირმებში, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურში, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ცნობები/მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს მისი ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ასევე მიიღოს მშენებლობის ნებართვა. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება ჩემს კუთვნილ უძრავ ნივთზე, მათ შორის მოახდინოს: უძრავი ქონების ფართების დაზუსტება, კორექტირება, შეწყვეტა, რეგისტრაცია, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან (სხვა უძრავ ნივთთან), მოახდინოს/განახორციელოს ცვლილებები უძრავ ქონებაზე. ასევე იყოს წარმომადგენელი სს ,,თელასი"-ში, ,,ენერგო პრო ჯორჯია-ში, ახალ ქსელებში, სილქნეტში, წყალკანალში, გაზმომარაგების კომპანიებში, მათ შორის კომპანია ,, ყაზტრანს გაზ"-ში, გადაიხადოს ჩემი სახელით მოსაკრებელი, ჩემს მაგივრად ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, დადოს კანონით ნებადართული ნებისმიერ გარიგება, გამოითხოვოს ჩემი კუთვნილი ნებისმიერი სახის დოკუმენტი, და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია **ხუთი თვის ვადით, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.**

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუსის თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე -10 (ათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1,80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

რაფაელ ვეზიროვი

ნოტარიუსის შემცვლელი პირი : /გვანცა მიქიაშვილი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

32171579922119

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N190136546

რეგისტრაციის თარიღი

**08.02.2019 წ**

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**